

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N14 - ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი

1. **ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი** წარმოადგენს ბანკის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებულ დაცვის დამატებით საშუალებას, კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ მათ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბარათებით ინტერნეტით (ონლაინ) გადახდის/გადარიცხვის განხორციელების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მხარდაჭერით აღჭურვილია შესაბამისი ვებ-გვერდი.
2. **ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის** გააქტიურება შეიძლება განხორციელდეს VISA, MasterCard ან/და American Express-ის საგადახდო სისტემის ბარათზე.
3. **ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის** გააქტიურება შეიძლება განხორციელდეს ავტომატურად, ბანკის გადაწყვეტილებით ან/და კლიენტის განაცხადის საფუძველზე სერვისცენტრის ან/და ინტერნეტ ბანკის ან/და მობილ ბანკის ან/და ტელეფონ ბანკის ან/და იმეილ ბანკის საშუალებით.
4. **კლიენტს/ბარათის მფლობელს**, მის მიერ ინტერნეტით (ონლაინ) გადახდის/გადარიცხვის განხორციელებისას, მის მიერ მითითებულ ფინანსურ ნომერზე ან/და Digipass-ზე გაეგზავნება ერთჯერადი კოდი, შესაბამისი გადახდის/გადარიცხვის განხორციელების დამატებითი დადასტურებისათვის.
5. თუ კლიენტს/ბარათის მფლობელს გააქტიურებული აქვს ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი, გადახდის/გადარიცხვის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მიღებული ერთჯერადი კოდით დამატებით დადასტურების განხორციელების შემდგომ, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მხარდაჭერით აღჭურვილია შესაბამისი ვებ-გვერდი.
6. **ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი** მოქმედებს მისი გააქტიურებიდან ბარათის მოქმედების ვადის ბოლომდე ან წინამდებარე დანართით გათვალისწინებული წესით დეაქტივაციამდე.
7. **ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის** დეაქტივაცია ხორციელდება ბანკისათვის შესაბამისი განაცხადის წარდგენის გზით სერვისცენტრის ან/და ინტერნეტ ბანკის ან/და მობილ ბანკის ან/და ტელეფონ ბანკის ან/და იმეილ ბანკის საშუალებით. ამასთან, წინამდებარე დანართის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის დეაქტივაციისას, კლიენტის/ბარათის მფლობელი ვერ შეძლებს ბარათებით ინტერნეტით (ონლაინ) გადახდის/გადარიცხვის განხორციელებას.
8. **ბანკის** მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში/განსაზღვრულ მიმდებებთან, ინტერნეტით (ონლაინ) გადახდის/გადარიცხვის განხორციელებისას სავალდებულოა ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის ფარგლებში გადახდის/გადარიცხვის განხორციელების ერთჯერადი კოდით დადასტურება.